

ენგურპესის კაშხლის ბეტონის ტემპერატურის კოეფიციენტის გამტარობის პრეციზიონური მოდელის და მატერიალური მოდელის გამოყენების შესახებ

პ.ჭიჭალუა

განხილულია ენგურპესის კაშხლის ბეტონის ტემპერატურის კამტარობის კოეფიციენტის მნიშვნელობები, მოყვანილი მის ტექნიკურ და მუშა პროცესებში, ბეტონისა და ცემენტის ტექნიკურ პირობებში, ობიექტზე ბეტონის სამუშაოთა წარმოების ტექნიკურ პირობებში, ტექნიკური პროცესის „კაშხლის ტემპერატურული რეჟიმის რეგულირების ღონისძიებათა კომპლექსი“, განსაზღვრული ექსპრიმენტული გზით საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნავებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პიდრონაგებობათა კვლევის განყოფილებაში ლაბორატორიულ პირობებში და ნატურული დაკვირვების განყოფილებაში ნატურულ პირობებში, მოყვანილი საერთო საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ნორმატიულ დოკუმენტებში, ცნობილ წიგნებში.

შედარებითმა ანალიზებმა აჩვენა, რომ ყველა აღნიშნული მონაცემი დამაკამაყოფილებლად ემთხვევა ერთმანეთს. დასკვნაში მოკეთებულია რეკომენდაცია იმის შესახებ, თუ რა საზღვრებში შეიძლება მივიღოთ ამ ნავებობის აღნიშნული თბოტექნიკური მახასიათებლის მნიშვნელობა.

საკვანძო სიტყვები: ტემპერატურის კამტარობის კოეფიციენტი, ნატურული გამოკვლევები, ტემპერატურული რეჟიმი, თბოტექნიკური მახასიათებლები, კალორიმეტრიული მეთოდი

ტემპერატურის კამტარობის კოეფიციენტი ახასიათებს ნაგებობებში, კონსტრუქციებში სითბოს გავრცელებას, მათი გათბობის ან გაცივების სიჩქარეს, ხარისხს. იგი მასალის ძირითად ფიზიკურ (თბოტექნიკურ) მახასიათებლად ითვლება. მისი განსაზღვრის სიზუსტესა და საიმედოობაზე დიდად არის დამოკიდებული ნაგებობებისა და კონსტრუქციების ტემპერატურული რეჟიმის თეორიული, ან ექსპერიმენტული გამოკვლევის შედეგები.

ენგურპესის კაშხლის ბეტონის შედგენილობისა და საანგარიშო სიდიდეების 1966 წ. ტექნიკური პირობების მიხედვით მისი ტემპერატურის კოეფიციენტის მნიშვნელობა მიღებული იყო $0.004 \text{ m}^2/\text{სთ-1}$ -ის ტოლად [1] სამამულო გამოცდილების საფუძველზე. ამ ბეტონის აღნიშნული თბოტექნიკური მახასიათებლის იგივე მნიშვნელობა იყო მიღებული 1966 წ. მეორე ტექნიკური პირობების მიხედვითაც, კორექტირებულის ენგურპესის კაშხლის ტექნიკური პროექტისათვის ცემენტისა და ბეტონის საკითხებზე 1966 წ. 17-20 ნოემბერს ჩატარებული სპეციალური თათბირის შენიშვნების გათვალისწინებით [2], აგრეთვე ენგურპესის კაშხლის ცემენტისა და ბეტონის 1970 წ. ტექნიკური პირობების [3], ობიექტის ტექნიკური პროექტის 1 წიგნის „ძირითადი ნაგებობები, თაღოვანი კაშხალი“ [4] ტექნიკური პროექტის 7^ა დანართის „თაღოვანი კაშხლის ტემპერატურული რეჟიმის რეგულირების ღონისძიებები“ [5], თაღოვან კაშხალზე 1971-1972 წლებში ბეტონის სამუშაოთა წარმოების ტექნიკური პირობების [6] და თაღოვანი კაშხლის მუშა პროექტის ნაწილის „თერმორეჟიმის რეგულირების ღონისძიებების კომპლექსის“ მიხედვითაც [7].

შემდგომი წლების ენგურპესის კაშხლის ბეტონის ანალოგიური ტექნიკური პირობების მოძებნა, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა.

საბჭოთა კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს ნორმატიული დოკუმენტის BCH-02-64-ის მიხედვით, ჰიდროტექნიკური ბეტონის ტემპერატურის გამტარობის კოეფიციენტის მნიშვნელობა მიღებოდა $0.003 \text{ m}^2/\text{სთ-ის}$ ტოლად.

სსრკ-ის 1979 წ. მშენებლობის ნორმებსა და წესებში „სამშენებლო თბოტექნიკა“ [8], აგრეთვე 1985 წ. ნორმებსა და წესებში „მდინარის ჰიდროტექნიკური ნაგებობები“ [9] ბეტონის ტემპერატურის გამტარობის კოფიციენტის მნიშვნელობა არ იყო მოყვანილი, ხოლო 1977 წ. ნორმებისა და წესების: „ჰიდროტექნიკური ნაგებობების ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ [10], 1987 წ. ნორმებისა და წესების „ჰიდროტექნიკური ნაგებობების ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ მიხედვით, ბეტონის აღნიშნული თბოტექნიკური მახასიათებლების მნიშვნელობა მიღებოდა $0.004 \text{ m}^2/\text{სთ} (11 \cdot 10^{-7} \text{ m}^2/\text{წმ})$ -ის ტოლად [11].

შემდგომში საქართველოში დამუშავებული ნორმატიული დოკუმენტის „ჰიდროტექნიკური ნაგებობების ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების“ მიხედვით, ბეტონის ტემპერატურის გამტარობის კოფიციენტის მნიშვნელობა შეიძლება მიღებული იქნას, ასევე $0.004 \text{ m}^2/\text{სთ} (11 \cdot 10^{-7} \text{ m}^2/\text{წმ})$ -ის ტოლად [12].

აკადემიკოს მ.მ.გრიშინის ცნობილი სახელმძღვანელოს მიხედვით ჰიდროტექნიკური ბეტონის ტემპერატურის გამტარობის კოფიციენტის მნიშვნელობა შეიძლება მიღებული იქნას $0.002\text{--}0.004 \text{ m}^2/\text{სთ-ის}$ ფარგლებში [13], აკადემიკოს ა.ვ.ლიკოვის ასევე ცნობილი სახელმძღვანელოს მიხედვით $0.00275 \text{ m}^2/\text{სთ-ის}$ [14], აკადემიკოს მ.ა.მიხეევისა და ი.მ.მიხეევას ცნობილი წიგნის მიხედვით - $0.00178 \text{ m}^2/\text{სთ-ის}$ ტოლად [15].

ცნობილია, რომ ბეტონის ტემპერატურის გამტარობის კოეფიციენტის მნიშვნელობა შეიძლება განისაზღვროს ფორმულით:

$$\alpha = \frac{\lambda}{c \cdot \gamma}, \text{ m}^2/\text{სთ}, \quad (1)$$

სადაც λ ბეტონის სითბოს გამტარობის (თბოგამტარობის) კოეფიციენტია, c - ბეტონის ხვედრითი თბოტევადობა, კგ/მ^3 /(მ.სთ.გრად); c - ბეტონის მოცულობითი მასა, $\text{კგ}/\text{მ}^3$, γ - ბეტონის მოცულობითი მასა, $\text{კგ}/\text{მ}^3$, α - ტ/მ^3 .

მაგრამ მისი განსაზღვრა შეიძლება პირდაპირ ექსპერიმენტის გზით, ბეტონის სხვა თბოტექნიკური მახასიათებლების: ხვედრითი თბოტევადობისა და მოცულობითი მასის გამოყენების გარეშე, ეწ. კალორიმეტრის მეთოდით.

ამ შემთხვევაში, ენგურჟესის კაშხლის ბეტონის ტემპერატურის გამტარობის კოეფიციენტის განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნა ბეტონის ნიმუშები - კუბები, რომლებიც მანამდე გამოყენებული იყო ამ ბეტონის სითბოს გამოყოფის მახასიათებლების მნიშვნელობათა დასადგენად; ნიმუშის ზომები იყო $49 \times 49 \times 49 \text{ სმ}$ [16].

სულ გამოცდილი იყო სამი ბეტონის ნიმუში, რომელთაც ჰქონდათ სხვადასხვა საწყისი ტემპერატურა. თითოეული ნიმუში გამოიცადა ცალ-ცალკე.

თითოეული ნიმუში თავსდებოდა წყლით სავსე დიდ ლითონის ავზში, რომელშიც ხდებოდა წყლის რეგულარული არევა სპეციალური მოწყობილობების საშუალებით დაახლოებით თანაბარი ტემპერატურის დასამყარებლად მის მოცელ მოცულობაში. ტემპერატურა იზომებოდა TCM-XI ტიპის ელექტროთერმომეტრებით, დუბლირებით, ბეტონის ნიმუშებისა და ავზის ბირთვულ ნაწილში. თერმომეტრების ჩვენებები იწერებოდა გამზომი MCP-12-08 ტიპის ავტომატური, თვითჩამწერი ხელსაწყოს სპეციალურ ქაღალდის ლენტზე.

თითოეული ბეტონის ნიმუში გამოიცადა დაკვირვების ორ ციკლად: წყლით სავსე ავზში მოთავსებამდე ამ ნიმუშების ცენტრებში ტემპერატურა შეადგენდა, შესაბამისად, 62, 58 და 45°C . რევულარული ტემპერატურული რეჟიმი მყარდებოდა 30-40 წთ-ის შემდეგ და ბეტონის ნიმუშების ბირთვულ ნაწილებში ტემპერატურა ანათვლების დაწყებამდე შეადგენდა, შესაბამისად, 49,9, 49,0 და $41,5^{\circ}\text{C}$ -ს.

თავდაპირველად განისაზღვრებოდა ნიმუშის ფორმის კოფიციენტი, რომელიც კუბისთვის ტოლია:

$$S = \frac{h^2}{3 \cdot \pi^2} = \frac{0.49^2}{3 \cdot 3.14^2} = 0.00812 \theta^2. \quad (2)$$

შემდეგ ხდებოდა ბეტონის ტემპერატურის გამტარობის კოფიციენტის განსაზღვრა. სამი ნიმუშის გამოცდის შედეგების საშუალო არითმეტიკულმა მნიშვნელობამ შეადგინა 0.003 $\theta^2/\text{სთ}$. ეს გამოკვლევა ჩატარდა საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის პიდროტექნიკურ ნაგებობათა კვლევის განყოფილებაში [16].

ენგურპესის კაშხლის ბეტონის ტემპერატურის გამტარობის კოფიციენტი განისაზღვრა ნატურული გამოკვლევების გზითაც უშუალოდ ნაგებობაში 1977-1978 წწ. ჩატარებული დაკვირვებების საფუძველზე ენგურპესის კაშხლის 18-2 სეგტის ბლოკში 71.00-71.75 მ ნიშნულებს შორის, რომელიც დაბეტონდა 1975 წ. ცნობილი მეთოდიკის მიხედვით. საშუალო მნიშვნელობა ენგურპესის ბეტონის ამ თბოტექნიკური მახასიათებლისა ნატურული გამოკვლევების მიხედვით შეადგენს 0.0029 $\theta^2/\text{სთ}$ [17].

ენგურპესის კაშხლის ბეტონის ტემპერატურის გამტარობის კოეფიციენტის განსაზღვრის აქ მოყენილი მნიშვნელობები დამაკმაყოფილებლად ემთხვევა მსგავსი შედგენილობის ხუდონპესის კაშხლის ბეტონის შესაბამისი მახასიათებლის მნიშვნელობას 0.003 $\theta^2/\text{სთ}$ [18].

დასკვნა

განხილული გამოკვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე ენგურპესის კაშხლის ბეტონის ტემპერატურის გამტარობის კოფიციენტის მნიშვნელობა შეიძლება მიღებული იქნას 0.003-0.004 $\theta^2/\text{სთ-ის}$ საზღვრებში. ამასთანავე, ჩვენი აზრით, უმჯობესია მივიღოთ მისი ექსპერიმენტული განსაზღვრის შედეგი 0.003 $\theta^2/\text{სთ}$.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. Состав и расчетные величины бетона для технического проекта плотины Ингурис ГЭС. МЭиЭ СССР. Главтехпроект. ТНИСГЭИ им. А.В. Винтера. Тбилиси. 1966.
2. Состав и расчетные величины бетона для технического проекта арочной плотины Ингурис ГЭС. МЭиЭ СССР. ГЛАВНИИПРОЕКТ (ТНИСГЭИ). Цулукидзе П.П. и др. Тбилиси. 1966. (скорректированные с учетом замечаний совещания по цементу и бетону для Технического проекта арочной плотины Ингурис ГЭС от 17-20 ноября 1966 г.).
3. Технические условия на цемент и бетон арочной плотины Ингурис ГЭС. МЭиЭ СССР, Главтехстройпроект. ТНИСГЭИ. Тбилиси. 1970.
4. Ингурская гидроэлектростанция. Технический проект. Т.6. Основные сооружения. Кн. 1. Арочная плотина. МЭиЭ. Главтехстройпроект, "Гидропроект" им. С.Я. Жука

(Тбилисское отделение)/Лосаберидзе А.А., Ломов И.Е., Рубинштейн Г.В., Мерабишвили Ш., Джакели Л.А. М.-Тбилиси. 1970.

5. Ингурская гидроэлектростанция. Технический проект. Т.14. Организация строительства и производства работ. Кн. 2. Приложение 7а. "Мероприятия, обеспечивающие регулирование температурного режима в арочной плотине". МЭиЭ СССР, Главстройпроект, "Гидропроект" им. С.Я.Жука (Тбилисское отделение)/Моисеев И.С., Лосаберидзе А.А., Ломов И.Е, Рубинштейн Г.В., Бронштейн В.М. 1970.
6. Технические условия на производство бетонных работ для Ингурской арочной плотины 1971÷1972 годы. МЭиЭ СССР, Главтехпроект, "Гидропроект" им. С.Я.Жука. М.-Тбилиси. 1971. 90 с.
7. Ингурская гидроэлектростанция. Арочная плотина. Рабочий проект. Комплекс мероприятий по регулированию терморежима. "Гидропроект" им. С.Я.Жука. И.Ломов, Г.Рубинштейн, В.Бронштейн, В.Алексинская. М. 1974.
8. Строительные нормы и правила. СНиП 2-3-79. Ч.2. Гл.3. Строительная теплотехника. Госстрой СССР. 1979.
9. Строительные нормы и правила. Гидротехнические сооружения, речные. СНиП. 3.07.01-85. Госстрой СССР. М.1985.
10. Строительные нормы и правила. СНиП. 2-56-77. Ч.2. Гл. 56 "Бетонные и железобетонные конструкции гидротехнических сооружений". Госстрой СССР. М. 1977.
11. Строительные нормы и правила. "Бетонные и железобетонные конструкции гидротехнических сооружений". СНиП. 2.06.08-87. Госстрой СССР. М. 1987.
12. პიდროტექნიკური ნაგებობების ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები, სამშენებლო ნორმები და წესები. № 2.06.05-98. საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო. თბილისი. 2000.
13. Гришин М.М. Гидротехнические сооружения. М.:Госстройиздат. 1962.
14. Лыков А.В. Теоретические основы строительной теплофизики. Минск:изд-во Академии наук БССР. 1961.
15. Михеев М.А., Михеева М.А. Основы теплопередачи. М.:Энергия. 1973.
16. Исследование теплофизических характеристик бетона Ингурской арочной плотины (производственного состава). Научно-техн. отчет ГрузНИИЭГС (Институт энергетики) по теме №141 /Чилингаришвили Г.И., Джинчарадзе К.В., Бедукадзе Г.В., Чичагуа П.В. и др. Тбилиси. 1972.
17. Нониев И.К. Натурные исследования формирования напряженно-деформированного состояния высокой арочной плотины в период ее возведения и временной эксплуатации (на примере Ингурской плотины). ГрузНИИЭГС. Тбилиси. 1983.
18. პ.ჭიჭალუა პ. ხუდონპესის კაშხლის ბეტონის ტემპერატურის გამტარობის კოეფიციენტის განსაზღვრის შედეგები/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. №1(429). თბილისი. 2000.